ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3328624

ნომერი: AR1513924

თარიღი : 14.06.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 29.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურად წკრიალაშვილი პ/ნ 59001016955
- გორი რ.სტურუას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საკლუბო ტიპის სასტუმრო-დასასვენებელი კომპლექსი. სექტორი-V-1
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მერაბ ბოლქვაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ბურჯი,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204973742

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ''ხინმინ ინთერნეშენელ ინვესტმენტ გროუპ ლიმიტიდ კომპანი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404933088
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იონგძიან გაო

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: CHN G27591095

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 1812975
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.03.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საქართველოს საჰაერო კოდესის 41-ე მუხლის თანახმად, აეროდრომის რაიონში მიწის ნაკვეთის, შენობის, ნაგებობის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ობიექტების მფლობელები მათი განთავსებისას ან გამოყენებისას ვალდებული არიან, მათი გამოყენების და ამ ობიექტებით სარგებლობის პირობები აეროდრომის ექსპლუატაციის განმახორციელებელ პირთან შეათანხმონ და შესაბამისი სამუშაოები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვით აწარმოონ. შესაბამისად, ვინაიდან, თქვენ მიერ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით საპროექტო ობიექტის სიმაღლე აღემატება დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლის მნიშვნელობას, საჭიროა აეროდრომის ექსპლუატანტ შპს „ტავ ურბან საქართველო“-სთან შეათანხმოთ შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე და შესაბამისი დოკუმენტი წარმოადგინოთ არქიტექტურის სამსხურში (იხ. დანართი).

.წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : წარმოდგენილ მინდობილობას აქვს ვადა გასული. გაცნობებთ, რომ სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან მისმა უფლებამოსილმა პირმა. უფლებამოსილება უნდა დგინდებოდეს მესაკუთრის მიერ სათანადო წესით გაცემული მინდობილობით. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის შპს „ხინმინ ინთერნეშენელ ინვესტმენტ გროუპ ლიმიტიდ კომპანი“, რომლის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის გაო იონგძიან. აქედან გამომდინარე წარმოადგინეთ მის მიერ თქვენ სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს თქვენ წარმომადგენლობას სამსახურში ან გაო იონგძიანი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.